




# საქართველოს



იმისთანა წმინდა საძმომი, დღემდე ბეჭდურნი სიფყვას, ფყილებით და ჭბრებით ბუდთის გაფანა ყულა უკადრისებაგი უსამაგლესია.

 **დაარსებულია 1918 წელს.** 

სამშაბათი, **13** მარტი, 2007 წელი.

№ 46 (5647)

# რესპუბლიკა

ელექტრონული ფოსტა: sakresp@ayety.ge

ვებ გვერდი: www.open.ge/sakartvelos-respublika

ფასი 50 თეთრი.



## პრეზიდენტთან უშიშროების საბჭოს სსდომა განიხილეს

უშიშროების საბჭოს სსდომაზე განცხადება გააკეთა საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა, ჯამო აზნაუთთი არსებული მდგომარეობის შესახებ კი უშიშროების საბჭოს წევრებს ინფორმაცია შენახა საშემთხვევეთა მიხედვით ვანო მერაბიშვილმა მიხედოდა.

როგორც შეხვედრის შემდეგ საბარეო საშემთხვევეთა მიხედვით განუცხადებდა უშიშროების საბჭოსთან შეხვედრის შემდეგ, პრეზიდენტმა ყველა მიხედვით მისცა საგანგებო ღვაწლები, რათა ჯამო აზნაუთთი განვითარებულ მოვლენებთან დაკავშირებით საერთაშორისო საზოგადოების ინფორმირება მოხდეს.

მისივე თქმით, ინფორმაციის მიწოდება პარტნიორი სახელმწიფოების ელჩებზე.

ინტერპრესსერვისი

### ხალი მოაწერეს მემორანდუმს ნატოში განხილვის შესახებ

12 მარტს ხალი მოაწერეს საქართველოს საპარლამენტო ფრაქციებისა და პოლიტიკური პარტიების მემორანდუმს საქართველოს ნატოში განხილვის შესახებ. მემორანდუმს ხალი მოაწერეს ფრაქცია „ნაციონალური მოძრაობა დემოკრატიის“ თავმჯდომარე მანია ნადირაძე, პოლიტიკური გაერთიანება „ახალი დემოკრატიის“ და საპარლამენტო ფრაქცია „მემორანდუმო უშიშროების“ თავმჯდომარე დავით ბაგრატიანი, პოლიტიკური მოძრაობა „მრევლოვა გადაარჩენს საქართველოს“ და საპარლამენტო ფრაქცია „მრევლოვის“ თავმჯდომარე ზურაბ ტყეშელაშვილი, საქართველოს კონსერვატორული პარტიის სახელმძღვანელო გუჯარაძე, რესპუბლიკური პარტიის სახელმძღვანელო უსუფაშვილი, საპარლამენტო ფრაქცია „გაერთიანების“ სახელმძღვანელო ჯუღელი, საპარლამენტო ფრაქცია „დემოკრატიული გაერთიანების“ სახელმძღვანელო მარტვილი, საპარლამენტო ფრაქცია „საქართველოს რეპორების“ სახელმძღვანელო ლიპარტიანი და საპარლამენტო ფრაქცია „დემოკრატიული ფრონტის“ სახელმძღვანელო ზურაბიშვილი.

დოკუმენტში აღნიშნულია, რომ ხალი მოაწერეს პოლიტიკური ძალები იზიარებენ ხალისუფლების საბარეო პოლიტიკას და მხარდაჭერას უცხადებენ ამ კურსის განხორციელებას.


გარდა ამისა, საგანგებო მუხლი ეძღვნება ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენას.

X0-008-060


## გინდა პუსტვინოთ, გინდა „უკანა“ ფესი სვიშვიროთ...

2

მრუბედ ჩასვენებული „რეფორმირებული“ მზე



3-15



## პროვოკაციას რუსი გენერლები ხელმძღვანელობენ

## გაქვეყნებთ ქალაქ თბილისის საკრებულოს გადაწყვეტილებებს



ეს იყო აფხაზეთის სეპარატისტული ხელისუფლების მორიგი პროვოკაცია, რათა 15 აპრილს დაგეგმილ გაეროს უშიშროების საბჭოს სესიონაზე განაცხადოს, საპარტივლო სამხედრო პროცესისთვის მზად არ არისო



პრესკონფერენცია

პროვოკაციას რუსი გენერლები ხელმძღვანელობდნენ

პაატა ღავითაია ნეტაქორისა და ზაიცივის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმის აღკვეთის მოითხოვს

პოლიტიკური გაერთიანების „წვენიერობა“ თავიდან უნდა დაივიწყოს თავისი პოლიტიკური პოზიციები და განაცხადოს, რომ ეს იყო აფხაზეთის სეპარატისტული ხელისუფლების მორიგი პროვოკაცია, რათა 15 აპრილს დაგეგმილ გაეროს უშიშროების საბჭოს სესიონაზე განაცხადოს, საპარტივლო სამხედრო პროცესისთვის მზად არ არისო.



ღანაღბარს მხარეზე ვერ ჩამოვიდვით. რუსეთი საგანგებოდ ამხედრდა ყურადღებას იმაზე, რომ თითქმის, ქართველები ვიპოვეთ ერთმანეთს. არადა, აშკარაა, რომ ვერტიკალური ხარაჩი-ჩრდობრძობიდან შემოვირინდა და სწორედ იქიდან ნაწილობრივ გაერთიანებული ოპოზიციის შემადგენელი „გრაფის“ ტიპის რეაქტიული კარაბი, აგრეთვე, ბრადის დარტყმის ტყვერეაქტიდან, სადაც რუსი სამხედრო-გოგების იარაღი იყარა „საპარტივლო“ - ამგონს პაატა ღავითაია.

სეპარატისტული რეჟიმის ვიცე-პრეზიდენტი რაულ ხაჯიგაბა. ღავითაია ვიძროს, რომ ეს ყველაფერი ცხადყოფს - აფხაზეთი მზად არ არის განაგრძოს ომის მოლაპარაკებებისთვის და რეგიონში სტაბილურობა არა სურთ. ექსპერტმა ჟურნალისტმა პირადი ექვტიც გაუხილა - არ არის გაგონივრებულ, ტყვეობაში დანახტი იმალეობა და ეს დაგომგვა თვალის ასახვევა და დანახტი. თუ ნამდვილად დანახტი, დიპლომატიური მოსალოდნელი, რაც შემდეგ საპარტივლო დაგრალებად.

კანოვია. აუცილებლად განსაკვივრებელი რაულ ხაჯიგაბა. ეს ახლად სერიოზული საკითხია, რათა თავიდან ავიცილოთ 15 აპრილისთვის გამოწვეული პროვოკაცია. ღავითაია თქვით, მან, ასეთი პროვოკაციების თაობაზე, მრავალჯერ გააფრთხილა საპარტივლო ხელისუფლებას. სახელმწიფო, აცნობა, რომ აფხაზეთის უსუცესთან საბჭო აზარად დაემძრა ბალავის ან კოლორის ხომალს დაიბრუნება, ან წვიმს წინააღმდეგ პასუხს. თან კონკრეტული ვადაც დაუთქვამთ. ამ გაფრთხილებას გამოვავითიან აფხაზეთის ე.წ. მთავრობიდან ოფიციალური მუქარის წერილიც მიუღია მოთხოვნით, შეეწყვიტა ასეთი განცხადებებით გამოცვლა. „ღვინაფხა არავინაა ისეთი, ვინც სავითო ენას გამოუნახავს პალაუშთან, ხაჯიგაბასთან და მათთან ერთად. მათ მხოლოდ სამართლებრივ ენაზე უნდა ვეუბნებოდნენ. კიდევ ერთხელ უნდა ითქვას, რომ ეს არის კრიმინალური რეჟიმი და არა მხარე, ვისთანაც დიალოგის წარმოება შეუძლებელია.“ - დასძინა მან.

განსჯა

გინდა ვუსტვინოთ, გინდა „უკანა“ ფეხი ავიშვიროთ...

მრუმედ ჩასვენებული „რეფორმირებული“ მზე

პროვოკაცია არ დამსდგება განცხადებაზე, სხვათაგან გამიჯნულად თითქმის, სრულიად განსხვავებული, დაპირისპირებული მოვლენები და სირთულეები, თუ ხარის პირს ღრმად ჩაკვარავთ, აღმოჩნდება, რომ, თურმე, მიჯნა-შედეგობრივად დაკავშირებული, ანდა საერთო მიზნის მიხედვით უნდა განვიხილოთ ნაწილები ყოფილა.

გოგრობა ალფრთოვანებაში ჩვენი რეფორმების, ეკონომიკის და ურთიერთობების განვითარებისთვის, საპარტივლო ინსტიტუტების, სეპარტივისა და სამართლიანობის უსწრაფესად დამკვიდრება-განვითარებაში, შესაბამისად, სოციალური პროვოკაციების გადაწყვეტილება და, ასევე შესაბამისად, ხალხის კეთილდღეობის შენახვა-შენიშვნით. ასე ავგომავთ ვეროვანნი. ასე იმედა აზიანების-ჩინეთში, ყაზახეთსა თუ იაპონიაში.

ხმას აჰყვებიან - გვირს, ძალზე გვირს აქვს ყოველი ნაწილი მიღებული ეკონომიკის რეფორმირება და პოლიტიკურად.

გინდა ვუსტვინოთ, გინდა „უკანა“ ფეხი ავიშვიროთ... მრუმედ ჩასვენებული „რეფორმირებული“ მზე



თუნდაც ესა ვთქვათ: რა შეიძლება იყოს საერთო მამალი გულუხულის (მხოლოდ მამალი, გოგონა უნაზს სტრენასა და სხვადი ძალის უკანა თათის ყოველად განაღვიანებას შორის? თითქმის, არც არაფერი. არადა, ასე ირთავს სასიცოცხლო არაქალს შემოსაზღვრავს - მეტოქეებს აფრთხილებს, ეს ტერიტორია დაკავებულია. ანდა, სკანდალისტმა გამოთქვებებით, ხომ ხშირად მოუხდინებავიანა ალანების რომელიმე კუთხეში მომდარა ამა თუ იმ სტიქიურ მოვლენას იძიებინ, ჰეი, რეგოზო და შემოგებულ მსარეზე?

უცნაური: ამ გაგრაფების სიკეთეს, უპირველესად, წვიმს, საქართველოს მოქალაქეები, უნდა ვგრძნობდეთ. მეტიც - რეფორმების ძირითადი მიზანი სწორედ ხალხის ცხოვრების გაუმჯობესება უნდა იყოს, მამრამ.

„სახელმწიფო კი, ოლოდეს იმიჯი არ დასცეს, თავისდა სხვაგვარად გარეგნულად ნაწილობრივ - აგერ, „თელისის“, „თილი-გაზის“, პრივატიზაციის მთელი პროცესის მამალითა (რამა თქმა უნდა, პირადი გამოჩენის „თამაშობით“).

თამარ შანიშვილი

ინფორმაცია

ჩვენი სიგარეტო მსოფლიოს უნდა გავაგებინოთ

საპარტივლო ურთიერთობათა სავალალოდ მოხდომის თავიდან აცილების მიზნით, რეფორმირებული პროვოკაცია გაეროს მოგვალ რეზოლუციას უკავშირდება. რეფორმირებული პროვოკაცია უნდა იყოს საპარტივლო მოქმედების ზონაში საპარტივლო მოქმედების უწყვეტობის შედეგად. ამათთან, რომლებსაც გააგებინებთ, ამათთან, რომლებსაც გააგებინებთ, რეფორმირებული პროვოკაცია უნდა იყოს საპარტივლო მოქმედების ზონაში საპარტივლო მოქმედების უწყვეტობის შედეგად.

რა ამოქრამებს რუსეთს?

ტარიტორიული მთლიანობის აღდგენის საკითხთა დროებითი სავალალოდ მოხდომის თავიდან აცილების მიზნით, რეფორმირებული პროვოკაცია უნდა იყოს საპარტივლო მოქმედების ზონაში საპარტივლო მოქმედების უწყვეტობის შედეგად.

ყავარეულ რეჟიმში

საპარტივლო მოვლენების მიხედვით, რეფორმირებული პროვოკაცია უნდა იყოს საპარტივლო მოქმედების ზონაში საპარტივლო მოქმედების უწყვეტობის შედეგად.





ქალაქ თბილისის საკრებულო

მადანყვანილობა № 2-21

28 თებერვალი 2007 წელი 09.03.07 წ. 210.020.030.36.101010.086

ქ თბილისის ტერიტორიაზე მშენებლობის (გარდა განსაკუთრებული მნიშვნელობის რადიაციული ან ბირთვული ობიექტების მშენებლობისა) ნებართვისათვის მოსაკრებლის განაკვეთების განსაზღვრისა და გადახდის ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე

1. „ადგილობრივი მოსაკრებლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი და მე-6 პუნქტების, მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-6 მუხლის, „საქართველოს დედაქალაქის – თბილისის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-12 მუხლის პირველი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტისა და „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2005 წლის 11 აგვისტოს №140 დადგენილების მე-15 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად დამტკიცდეს ქ. თბილისის ტერიტორიაზე მშენებლობის (გარდა განსაკუთრებული მნიშვნელობის რადიაციული ან ბირთვული ობიექტების მშენებლობისა) ნებართვისათვის მოსაკრებლის განაკვეთები და მისი გადახდის ინსტრუქცია დანართის შესაბამისად. 2. გადაწყვეტილება ძალაშია „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის 45-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად გამოქვეყნებიდან მე-15 დღეს.

საკრებულოს თავმჯდომარე მამა ბეზარაშვილი

ქალაქ თბილისის საკრებულო

მადანყვანილობა № 2-25

28 თებერვალი 2007 წელი 07.03.07 წ. 370.020.000.36.101010.070

დედაქალაქის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის განკარგვის წესის დამტკიცების შესახებ

1. „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, აგრეთვე „საქართველოს დედაქალაქის – თბილისის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-12 მუხლის პირველი პუნქტის „თ“ ქვეპუნქტისა და 34-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტების შესაბამისად ქ. თბილისის საკრებულომ გადაწყვიტა დამტკიცდეს: ა) დედაქალაქის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის განკარგვის წესი №1 დანართის თანახმად; ბ) კონკურსში მონაწილეობის მისაღებად წარსადგენი განაცხადის ფორმა №2 დანართის თანახმად; გ) აუქციონში მონაწილეობის მისაღებად წარსადგენი განაცხადის ფორმა №3 დანართის თანახმად. 2. გადაწყვეტილება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე მამა ბეზარაშვილი

№1 დანართი დამტკიცებულია ქ. თბილისის საკრებულოს 2007 წლის 28 თებერვლის № 2-25 გადაწყვეტილებით

დედაქალაქის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის განკარგვის წესი

თაზო I ზოგადი დებულებები

მუხლი 1. ზოგადი დებულებები 1. ეს წესი განსაზღვრავს ქ. თბილისის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის განკარგვის წესს.

დანართი დამტკიცებულია ქ. თბილისის საკრებულოს 2007 წლის 28 თებერვლის № 2-21 გადაწყვეტილებით

ქ თბილისის ტერიტორიაზე მშენებლობის (გარდა განსაკუთრებული მნიშვნელობის რადიაციული ან ბირთვული ობიექტების მშენებლობისა) ნებართვისათვის მოსაკრებლის განაკვეთების განსაზღვრისა და გადახდის ინსტრუქცია

1. მშენებლობის (გარდა განსაკუთრებული მნიშვნელობის რადიაციული ან ბირთვული ობიექტების მშენებლობისა) ნებართვა არის განსაზღვრული ფორმის მქონე, ერთჯერადი დოკუმენტი, რომელიც გაიცემა კანონმდებლობით დადგენილი წესით. 2. მშენებლობის (გარდა განსაკუთრებული მნიშვნელობის რადიაციული ან ბირთვული ობიექტების მშენებლობისა) ნებართვის მოსაკრებლით (შემდგომში – მოსაკრებელი) დაბეგრის ობიექტია ახალი ასაშენებელი ობიექტის პროექტით გათვალისწინებული განაშენიანების ფართობი. 3. მოსაკრებლის გადახდელია მშენებლობის (გარდა განსაკუთრებული მნიშვნელობის რადიაციული ან ბირთვული ობიექტების მშენებლობისა) ნებართვის მძიებელი პირი, რომელსაც სურვილი აქვს განახორციელოს სამშენებლო სამუშაოები. 4. მოსაკრებლის გადახდისაგან განთავისუფლებულია სტიქიური უბედურების შედეგად დაზიანებული ობიექტის მშენებლობა. 5. მოსაკრებელი შეადგენს ახალი ასაშენებელი ობიექტის პროექტით გათვალისწინებული განაშენიანების ფართობის თითოეული კვადრატული მეტრისათვის 1 (ერთი) ლარს, ხოლო საკურორტო ზონაში სამრეწველო ობიექტების მშენებლობისათვის 5 (ხუთი) ლარს. 6. მოსაკრებელი გამოიანგარიშება ახალი ასაშენებელი ობიექტის პროექტით განსაზღვრული განაშენიანების ფართობის (კვადრატული მეტრებით) გადამრავლებით მოსაკრებლის განაკვეთზე. 7. მოსაკრებელი გადახდილი უნდა იქნეს ქ. თბილისის მერიის მშენებლობის ნებართვის გაცემაზე უფლებამოსილ საქალაქო სამსახურში ნებართვის მძიებლის (მშენებარე ობიექტის მესაკუთრე ფიზიკური ან/და იურიდიული პირის) მიერ შესაბამისი განცხადებისა და თანდართული დოკუმენტების წარდგენამდე. 8. მოსაკრებლის გადახდა წარმოებს ბანკის მეშვეობით და იგი მთლიანად ჩაირიცხება ქ. თბილისის ბიუჯეტში. წინასწარ განსაზღვრულ ანგარიშზე. 9. მოსაკრებლის გადახდებისათვის პასუხისმგებლობა ეკისრება ქ. თბილისის მერიის უფლებამოსილ საქალაქო სამსახურს.

2. „საქართველოს დედაქალაქის – თბილისის შესახებ“ საქართველოს კანონისა და ამ წესის შესაბამისად დედაქალაქის ადგილობრივი საკუთრების ფლობას, განკარგვასა და სარგებლობას უზრუნველყოფს ქ. თბილისის მთავრობა (შემდგომში – მთავრობა).

მუხლი 2. ტერმინთა განმარტება ამ წესში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა: ა) „მიწა“ – ქ. თბილისის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი; ბ) „სამსახური“ – ქ. თბილისის მერიის ადგილობრივი ქონების მართვის საქალაქო სამსახური; გ) „დაინტერესებული პირი“ – ნებისმიერი ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელიც ამ წესისა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად სამსახურში განაცხადის შეტანით გამოხატავს ინტერესს მიწის ნაკვეთზე უფლების მოპოვებასთან დაკავშირებით; დ) „მიწის განკარგვა“ – მიწის ნაკვეთის საკუთრებაში ან სარგებლობაში გადაცემა ნასყიდობის, იჯარის, უზუფრუქტის, აღნაგობის ან საქართველოს სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული სხვა სახის ხელშეკრულებით; ე) „კომისია“ – ამ წესისა და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ქალაქ თბილისის მერის სამართლებრივი აქტით, მიწის განკარგვასთან დაკავშირებით შექმნილი კომისია; ვ) „ბე“ – კონკურსში, აუქციონსა ან/და აუქციონში პირობებით მონაწილეობისათვის წინასწარი შესატანი თანხა დადგენილი ოდენობით.

თაზო II მიწის განკარგვის სახეები და ფორმები

მუხლი 3. მიწის განკარგვის სახეები 1. მიწის განკარგვა შეიძლება მოხდეს მისი სარგებლობაში ან საკუთრებაში გადაცემით. 2. მიწის სარგებლობაში გადაცემის სახეებია: ა) იჯარა; ბ) უზუფრუქტი; გ) აღნაგობა; დ) საქართველოს სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული სხვა სახეები. 3. მიწის საკუთრებაში გადაცემის სახეებია: ა) ნასყიდობა; ბ) გაცვლა; გ) „შეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ურთიერთობების განხორციელების მიზნით ქონების განკარგვა. 4. სახელმწიფოებრივი ან ადგილობრივი ინტერესების გათვალისწინებით მთავრობა იღებს გადაწყვეტილებას მიწის გაცვლის თაობაზე. ამასთან, იმ მიწის, (რომელიც უნდა გაიცვალოს თბილისის საკუთრებაში არსებულ მიწაზე), საბაზრო ფასი



№ 46. საშუალო, 13 პარტი, 2007 წელი.



№ 46. სამსახურით. 13 მაისი. 2007 წელი.

არ უნდა იყოს თბილისის საკუთრებაში არსებული (გასაცვლელი) მიწის საბაზრო ფასზე ნაკლები. მიწების საბაზრო ფასებს შორის განსხვავება შესაძლებელია ანაზღაურდეს ფულადი სახით.

### მუხლი 4. მიწის განკარგვის ფორმები

მიწის განკარგვის ფორმებია:

- ა) კონკურსი;
- ბ) აუქციონი ან აუქციონი პირობებით;
- გ) პირდაპირი განკარგვა.

### მუხლი 5. განსაკარგი მიწის ფასი

მიწის ფასი განისაზღვრება ქ. თბილისის მთავრობის მიერ კომისიის რეკომენდაციის საფუძველზე, რომელიც არ უნდა იყოს ქ. თბილისის საკრებულოს მიერ დადგენილ სახელმწიფო საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიულ ფასზე ნაკლები.

### თაზი III კომისია

#### მუხლი 6. კომისია

1. მიწის კონკურსის ან აუქციონის ფორმით განკარგვის ორგანიზების მიზნით ქ. თბილისის მერის სამართლებრივი აქტით იქმნება ქ. თბილისის საკუთრებაში არსებული მიწის განკარგვის კომისია (შემდგომში – კომისია).

- 2. კომისიის თითოეულ წევრს აქვს ერთი ხმის უფლება.
- 3. კომისიის გადაწყვეტილება მიიღება დამსწრე წევრთა ხმათა უბრალო უმრავლესობით. ხმების თანაბარი განაწილების შემთხვევაში, თავმჯდომარის (ან მისი მოვალეობის შემსრულებლის) ხმა ითვლება გადაწყვეტილებას. კომისიის გადაწყვეტილება ფორმდება ოქმის სახით, რომელსაც ხელს აწერენ კომისიის თავმჯდომარე და წევრები. კომისიის ოქმი მთავრობის შესაბამის დადგენილების პროექტთან ერთად განსახილველად და სათანადო გადაწყვეტილების მისაღებად წარედგინება მთავრობას.
- 4. კომისიის მუშაობის ორგანიზებულობას უზრუნველყოფს სამსახური.

### თაზი IV კონკურსი

#### მუხლი 7. ზოგადი დებულებანი

- 1. მიწის კონკურსის ფორმით განკარგვის მიზანია მიწა საკუთრების ან კანონმდებლობით განსაზღვრული სხვა უფლებით გადაეცეს იმ დაინტერესებულ პირს, რომელიც მთავრობას შესთავაზებს ყველაზე უკეთეს პირობებს. კონკურსის პირობებს ადგენს სამსახური და დასამტკიცებლად წარუდგენს მთავრობას.
- 2. კონკურსის ფორმით მიწის განკარგვისას დაინტერესებული პირი შეიძლება იყოს საქართველოს ან უცხო ქვეყნის ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომლის ქონებაშიც საქართველოს სახელმწიფოს ან ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის მონაწილეობის წილი 25%-ზე ნაკლებია.

#### მუხლი 8. კონკურსის ორგანიზება

- 1. კონკურსს, შესაბამისი სამართლებრივი აქტის გამოცემის გზით, აცხადებს მთავრობა.
- 2. სამსახური კონკურსის მოწყობის თარიღამდე სულ ცოტა ერთი თვით ადრე უზრუნველყოფს კონკურსის ფორმით მიწის განკარგვის შესახებ ინფორმაციის გამოქვეყნებას.
- 3. გამოსაქვეყნებელი ინფორმაცია უნდა შეიცავდეს შემდეგ მონაცემებს:
  - ა) ადმინისტრაციული ორგანოს დასახელებას;
  - ბ) კონკურსის პირობებს, გამარჯვებულის გამოვლენის კრიტერიუმებს, საწყის ფასსა და თუ უფლებების რა სახით გაიცემა მიწა;
  - გ) მიწის ზუსტ მისამართს და მიწის სარეგისტრაციო მონაცემებს;
  - დ) განაცხადის მიღების დაწყებისა და დამთავრების ვადას;
  - ე) განაცხადების მიღების ადგილის მისამართს, საკონტაქტო ტელეფონს;
  - ვ) კონკურსის მონაწილეთა წინადადებების შემცველი კონკურსის გახსნის თარიღს, დროსა და ადგილს;
  - ზ) ბე-ს სიდიდეს, რომლის ოდენობას მთავრობასთან შეთანხმებით განსაზღვრავს სამსახური, აგრეთვე ბე-ს გადახდის შესაბამისი ანგარიშის ნომერს;
  - თ) სხვა ინფორმაციას, რომელსაც მიზანშეწონილად ჩათვლის სამსახური თავისი გადაწყვეტილებით ან მთავრობის მითითებით.
- 4. დაინტერესებულ პირს უფლება აქვს მოითხოვოს და მიიღოს ნებისმიერი საჯარო ინფორმაცია განსაკარგი მიწის შესახებ.
- 5. სამსახური იღებს და არეგისტრირებს დაინტერესებულ პირთა მიერ წარმოდგენილ განაცხადებს თარიღისა და დროის აღნიშვნით.
- 6. წარმოდგენილი განაცხადების შესწავლის შემდეგ კომისია შეიმუშავებს დასკვნას (ოქმს) და წარუდგენს მთავრობას საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად.

#### მუხლი 9. კონკურსში მონაწილეობის პირობები

- 1. კონკურსში მონაწილეობის მისაღებად სამსახურს უნდა წარედგინოს შემდეგი დოკუმენტები:
  - ა) დამტკიცებული ფორმის მიხედვით (დანართი №2) შევსებული განაცხადი, რომელშიც სავალდებულოა აისახოს განსაკარგი მიწის მისამართი და დაინტერესებული პირის თანხმობა გამოცხადებულ საკონკურსო პირობების შესრულებაზე;
  - ბ) დაინტერესებული პირის ან მისი წარმომადგენლის წინადადება (დალუქული კონვერტი);
  - გ) ბე-ს გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი;

დ) პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი (ფიზიკური პირის შემთხვევაში);

ე) ნოტარიულად დადასტურებული მინდობილობა (რწმუნებულება), თუ პირი მოქმედებს სხვა პირის სახელით;

ვ) სათანადო წესით დამოწმებული სადამფუძნებლო დოკუმენტაციის ასლები და განაცხადის შეტანის მომენტისათვის მოქმედი ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან, იურიდიული პირის შემთხვევაში.

2. კონკურსში მონაწილეობაზე განაცხადების მიღება მთავრდება სამსახურის მიერ დადგენილ დღესა და საათს. დადგენილი ვადის გასვლის შემდეგ შემოსული განაცხადი არ მიიღება. განაცხადის შემოსვლის თარიღი განისაზღვრება რეგისტრირების თარიღით.

3. კონკურსში მონაწილეობაზე განაცხადების მიღება მიმდინარეობს კონკურსის მოწყობის თარიღამდე 30 კალენდარული დღის განმავლობაში.

4. კონკურსის მონაწილეთა ზონარგაყრილ დავთარში განაცხადი შეტანილ უნდა იქნეს დაინტერესებული პირის ან მისი წარმომადგენლის მიერ სრული დოკუმენტების წარდგენისთანავე, რის შემდეგაც განმცხადებელი იძენს კონკურსის მონაწილის სტატუსს.

5. დაინტერესებულ პირს უფლება აქვს ბე-ს დაუკავებლად წერილობით გამოითხოვოს თავისი განაცხადი მხოლოდ განაცხადის მიღების პერიოდში. სამსახური ახდენს განაცხადის გამოთხოვის ფაქტის რეგისტრაციას.

6. დაინტერესებულ პირს შეიძლება უარი ეთქვას კონკურსში მონაწილეობაზე თუ ვერ აკმაყოფილებს ამ წესითა და კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

#### მუხლი 10. კონკურსის მოწყობის წესი

1. კომისია კონკურსის მონაწილეთა წინადადებებს განიხილავს გამარჯვებულის გამოვლენის კრიტერიუმებიდან გამომდინარე.

2. კონკურსის გამარჯვებულად ცხადდება მონაწილე, რომლის წინადადება აკმაყოფილებს კონკურსის პირობებსა და კრიტერიუმებს და რომელიც კომისიას შესთავაზებს საუკეთესო პირობებს.

3. კომისიის მიერ დადგენილ დღეს იხსნება კონკურსი შემოსული წინადადებებით. დგინდება ყველა საჭირო დოკუმენტის არსებობა და კონკურსის პირობებთან შესაბამისობა. თუ მონაწილის წინადადება არ პასუხობს კონკურსის პირობებს მისი განაცხადი არ განიხილება და აღნიშნული ფაქტი ფიქსირდება კომისიის ოქმში.

4. მონაწილეს და მის უფლებამოსილ წარმომადგენელს უფლება აქვს დაესწროს კონკურსის გახსნას.

5. კომისია იხილავს მონაწილეთა წინადადებებს მათი დასწრების გარეშე და იღებს გადაწყვეტილებას.

6. კომისია გადაწყვეტილებას კონკურსში საუკეთესო წინადადების გამოვლენის შესახებ აცხადებს, როგორც წესი, კონკურსის გახსნის დღეს, ამასთან კომისიას უფლება აქვს საუკეთესო წინადადების გამოვლენის შესახებ გამოაცხადოს კონკურსის გახსნიდან არა უმეტეს 5 სამუშაო დღის განმავლობაში.

7. კონკურსი ჩაითვლება არშემდგარად (ჩაშლილად) და კომისია მიიღებს შესაბამის გადაწყვეტილებას, თუ:

- ა) კონკურსის მოწყობის შესახებ განაცხადების გამოქვეყნებიდან დადგენილ ვადაში არ იქნა შეტანილი არც ერთი განაცხადი;
- ბ) წარმოდგენილი განაცხადებიდან არც ერთი არ შეესაბამება კონკურსის მოთხოვნებს;

გ) კონკურსის გამარჯვებული უარს განაცხადებს ხელშეკრულების გაფორმებაზე. ასეთ შემთხვევაში კონკურსის გამარჯვებულს გადახდილი ბე უკან არ უბრუნდება.

8. თუ რამდენიმე დაინტერესებული პირის მიერ შემოთავაზებული წინადადება ფასის და სხვა პირობების შესახებ აკმაყოფილებს კონკურსის პირობებს, კომისია მთავრობასთან შეთანხმებით უფლებამოსილია რიგითობის მიხედვით გამოავლინოს (წინადადების ხელსაყრელობის გათვალისწინებით) საუკეთესო წინადადებები და შემდგომში აწარმოოს მათთან მოლაპარაკება დადგენილი რიგითობის მიხედვით.

9. თითოეულ მონაწილესთან მოლაპარაკების ვადა არ უნდა აღემატებოდეს 10 კალენდარულ დღეს. მოლაპარაკების წარმოების შემდგომ კომისია დასკვნას (ოქმს) წარუდგენს მთავრობას.

10. გამარჯვებულის გამოვლენის შესახებ კომისიის დასკვნაში (ოქმში) უნდა აისახოს შემდეგი მონაცემები:

- ა) განსაკარგი მიწის დასახელება, მისამართი და სხვა რეკვიზიტები;
- ბ) ადმინისტრაციული ორგანოს დასახელება, მისამართი და საკონტაქტო რეკვიზიტები;
- გ) კომისიის შემადგენლობა;
- დ) მონაცემები კონკურსის მონაწილეთა შესახებ;
- ე) კონკურსის მონაწილეთა წინადადებები დანართების სახით;
- ვ) საუკეთესო პირობების მქონე კონკურსანტის (კონკურსანტების) დასახელება (ვინაობა);
- ზ) კონკურსის შედეგად დადგენილი განსაკარგი მიწის ფასი;
- თ) კონკურსის შედეგად დადგენილი ინვესტიციების მოცულობა და მისი განხორციელების ვადები.
- 11. მთავრობის მიერ დადგენილების მიღების შემდეგ დადგენილების ასლები ეგზავნებათ ყველა მონაწილეს. გამარჯვებულს ასევე ეგზავნება შეტყობინება ხელშეკრულების გასაფორმებლად.
- 12. მთავრობა დადგენილებას იღებს კომისიის მიერ დასკვნის (ოქმის) წარდგენიდან არა უგვიანეს ერთი თვისა.

#### მუხლი 11. ხელშეკრულების გაფორმების წესი

1. კონკურსის შედეგების შესახებ მთავრობის დადგენილების მიღებიდან არა უმეტეს 15 კალენდარული დღისა გამარჯვებული ვალდებულია მთავრობასთან გააფორმოს შესაბამისი ხელშეკრულება საქართველოს სამოქალაქო კოდექსით დადგენილი წესით.

2. მთავრობასა და კონკურსის გამარჯვებულს შორის გაფორმებულ ხელშეკრულებაში შეიტანება შემდეგი მონაცემები:





ა) ცნობები მთავრობასა და მედიის შესახებ;  
ბ) განსაკარგი მიწის დასახელება და მისამართი;  
გ) მიწის ფართობი და განსაკარგი ფასი;  
დ) საკონკურსო პირობებიდან გამომდინარე მხარეთა ურთიერთვალდებულებები მიწის შემდგომი გამოყენების შესახებ;

ე) სხვა მონაცემები გამოცხადებული კონკურსისა და გასაფორმებელი ხელშეკრულების სპეციფიკის გათვალისწინებით.

3. ხელშეკრულება უნდა შეიცავდეს კონკურსით გადაცემული მიწის განკარგვის პირობებს, თანხის გადახდის ვადებსა და ამ წესის მე-12 მუხლით გათვალისწინებულ პირგასამტეხლოს.

4. მიწის ნაკვეთის შექმნისას შეტანილი ბე დაინტერესებულ პირს ეთვლება ანგარიშსწორების დროს. ყველა დანარჩენ მონაწილეს, მოთხოვნის შემთხვევაში, მოთხოვნიდან 30 კალენდარული დღის განმავლობაში ბე უბრუნდება.

5. საბანკო დაწესებულება მონაწილეთა შეტანილ ბე-ს აბრუნებს სამსახურის დავალების საფუძველზე.

6. ხელშეკრულების გაფორმებისა და საჭირო საბუთების წარდგენის ხარჯები იფარება გამარჯვებულის მიერ.

7. მთავრობის მიერ მიწაზე საკუთრების უფლება გადაეცემა გამარჯვებულს მიწის ფასის სრულად დაფარვის შემდეგ. საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში რეგისტრაციისა და საკუთრების უფლების მოპოვებისათვის სხვა აუცილებელი საბუთების წარდგენის ხარჯები იფარება გამარჯვებულის მიერ.

### მუხლი 12. კონკურსის გამარჯვებულის პასუხისმგებლობა

1. კონკურსის გამარჯვებული ვალდებულია დაიცვას ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები და შესრულებაზე ყოველ 6 თვეში ინფორმაცია წარუდგინოს სამსახურს.

2. მიწის სარგებლობის უფლებით გადაცემის შემთხვევაში, ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში, კონკურსის გამარჯვებულს მთავრობის თანხმობის გარეშე უფლება არა აქვს მიწა განკარგოს, გასცეს სარგებლობის უფლებით ან სხვაგვარად დატვირთოს.

3. ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების დაუცველობის შემთხვევაში კონკურსის გამარჯვებული იღებს გაფრთხილებას წერილობითი სახით, სადაც მიეთითება დარღვევის გამოსწორების ვადა და ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირგასამტეხლო.

4. თუ კონკურსის გამარჯვებული არ იხდის პირგასამტეხლოს და არ ასრულებს საკონკურსო და ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებს მთავრობას უფლება აქვს ხელშეკრულება მოშალოს ცალმხრივად.

### თაზო V აპრილი 2007

### მუხლი 13. ზოგადი დებულებანი

1. აუქციონის ფორმით მიწის განკარგვის მიზანია საკუთრების ან ამ წესით განსაზღვრული სხვა უფლებით მიწა გადაეცეს იმ დაინტერესებულ პირს, რომელიც მთავრობას ვაჭრობის პროცესში შესთავაზებს ყველაზე მაღალ ფასს.

2. აუქციონის ფორმით მიწის განკარგვისას დაინტერესებული პირი შეიძლება იყოს საქართველოს ან უცხო ქვეყნის ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომლის ქონებაშიც საქართველოს სახელმწიფოს ან ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის მონაწილეობის წილი 25%-ზე ნაკლებია.

3. მთავრობას შეუძლია გამოაცხადოს აუქციონი დაინტერესებული პირის მიერ მთავრობისათვის შესაბამისი მიმართვის წარდგენის შემდეგ. ასეთ შემთხვევაში აუქციონი ცხადდება შესაბამისი განაცხადის წარდგენიდან 30 დღის ვადაში.

4. მთავრობის უარი მიწის განკარგვაზე უნდა იყოს დეტალურად დასაბუთებული და განმცხადებელს უნდა ეცნობოს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილ ვადებში.

### მუხლი 14. აუქციონი პირობებით

1. თუ აუქციონი გამოცხადდა პირობებით - საკუთრების უფლება გადაეცემა იმ დაინტერესებულ პირს, რომელიც აიღებს ვალდებულებას დააკმაყოფილოს გამოცხადებული პირობები და ვაჭრობის პროცესში მთავრობას ყველაზე მაღალ ფასს შესთავაზებს.

2. იმ შემთხვევაში, თუ დაინტერესებული პირი ითხოვს მიწის განკარგვას გარკვეული პირობებით, აუქციონი პირობებით ცხადდება დაინტერესებული პირის მიერ შემოთავაზებულ არსებით პირობებზე. არ შეიძლება ისეთი პირობის დადგენა, რომელიც ანიჭებს მას წინასწარ განსაზღვრულ უპირატესობას ან სხვაგვარად შეუძლებელს ხდის სხვა დაინტერესებული პირების აუქციონში მონაწილეობას. დამატებითი პირობების დადგენა შესაძლებელია მთავრობის მიერ.

3. პირობებით გამოცხადებული აუქციონის შემთხვევაში გამოიყენება ამ თავით დადგენილი წესები.

### მუხლი 15. აუქციონის ორგანიზება

1. აუქციონის შესაბამისი სამართლებრივი აქტის გამოცემის გზით აცხადებს მთავრობა.

2. სამსახური ერთი თვით ადრე უზრუნველყოფს აუქციონის ფორმით მიწის განკარგვის შესახებ ინფორმაციის გამოქვეყნებას. ინფორმაციის გამოქვეყნებიდან ერთი თვის შემდეგ ეწყობა აუქციონი.

3. გამოსაქვეყნებელი ინფორმაცია უნდა შეიცავდეს შემდეგ მონაცემებს:

- ა) ადმინისტრაციული ორგანოს დასახელებას;
- ბ) საწყის ფასსა და, თუ რა უფლებით გაიცემა მიწა;
- გ) მიწის ზუსტ მისამართს და მიწის სარეგისტრაციო მონაცემებს;
- დ) განაცხადის მიღების დაწყების და დამთავრების ვადას;

ე) განაცხადების მიღების ადგილის მისამართს, საკონტაქტო ტელეფონს;

ვ) აუქციონის მოწყობის ადგილსა და თარიღს;

ზ) აუქციონის ფორმით განსაკარგი მიწით სარგებლობის დასაშვებ პირობებს;

თ) ბე-ს, სავაჭრო ბიჯის სიდიდეს, რომლის ოდენობას მთავრობასთან შეთანხმებით განსაზღვრავს სამსახური;

ი) სხვა ინფორმაციას, რომელსაც მიზანშეწონილად ჩათვლის სამსახური საკუთარი გადაწყვეტილებით ანდა მთავრობის მითითებით.

4. დაინტერესებულ პირს უფლება აქვს მოითხოვოს და მიიღოს ნებისმიერი საჯარო ინფორმაცია განსაკარგი მიწის შესახებ.

### მუხლი 16. აუქციონში მონაწილეობის პირობები

1. აუქციონში მონაწილეობის მისაღებად სამსახურს უნდა წარედგინოს შემდეგი დოკუმენტები:

ა) დამტკიცებული ფორმის მიხედვით (დანართი №3) შევსებული განაცხადი, რომელიც შეიცავს ინფორმაციას მონაწილეზე, განსაკარგი მიწაზე და მიწის საწყის ფასზე;

ბ) ბე-ს და მონაწილის ბილეთის საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი;

გ) პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ქსეროასლი (ფიზიკური პირის შემთხვევაში);

დ) ნოტარიულად დადასტურებული მინდობილობა (რწმუნებულება), თუ პირი მოქმედებს სხვა პირის სახელით;

ე) სათანადო წესით დამოწმებულ სადამფუძნებლო დოკუმენტაციის ასლებს და განაცხადის შეტანის მომენტისათვის მოქმედ ამონაწერს სამეწარმეო რეესტრიდან იურიდიული პირის შემთხვევაში.

2. დაინტერესებულმა პირმა, რომელსაც სურს მონაწილეობა მიიღოს სხვადასხვა მიწის განკარგვისათვის მოწყობილ აუქციონში, ბე უნდა გადაიხადოს თითოეული მიწისათვის ცალ-ცალკე.

3. აუქციონში მონაწილეობაზე განაცხადების მიღება მთავრდება სამსახურის მიერ დადგენილ დღესა და საათს. დადგენილი ვადის გასვლის შემდეგ შემოსული განაცხადი არ მიიღება. განაცხადის შემოსვლის თარიღი განისაზღვრება რეგისტრირების თარიღით.

4. აუქციონში მონაწილეობაზე განაცხადების მიღება მიმდინარეობს აუქციონის გამოცხადებიდან 30 კალენდარული დღის განმავლობაში.

5. დაინტერესებული პირების მიერ დოკუმენტაციის სრულად წარდგენის შემდეგ ისინი სამსახურის მიერ რეგისტრირდება შესაბამისი ფურნალში ცალ-ცალკე, რის შემდეგაც თითოეული დაინტერესებული პირი იძენს აუქციონში მონაწილის სტატუსს და რეგისტრატორის მიერ გადაეცემა აუქციონის მონაწილის ბილეთები.

6. მონაწილეს უფლება აქვს ბე-ს დაუკავებლად წერილობით გამოითხოვოს თავისი განაცხადი მხოლოდ განაცხადების მიღების პერიოდში. სამსახური ახდენს განაცხადის გამოთხოვის ფაქტის რეგისტრაციას.

7. დაინტერესებულ პირს შეიძლება უარი ეთქვას აუქციონში მონაწილეობაზე თუ ვერ აკმაყოფილებს ამ წესითა და კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

### მუხლი 17. აუქციონის მოწყობის წესი

1. აუქციონის მონაწილე აუქციონის დაწყებამდე შედის დარბაზში, სადაც ეწყობა აუქციონი, აუქციონის რეგისტრატორს წარუდგენს აუქციონის მონაწილის ბილეთს და იღებს სპეციალურ დაფას, რომლის ნომერიც შეესაბამება მის ბილეთზე აღნიშნულ ნომერს.

2. აუქციონისტი ადარებს გაცემული ნომრიანი დაფების რაოდენობას შემოსული განაცხადების რაოდენობასთან, რითაც აზუსტებს აუქციონის მონაწილეთა რაოდენობას.

3. აუქციონის წარმართავს აუქციონისტი, რომელიც არის კომისიის ერთ-ერთი წევრი.

4. თითოეულ მიწის ნაკვეთზე ვაჭრობის დაწყებისას აუქციონისტი აცხადებს მიწის დასახელებას, მის საწყის ფასს, (პირობებს, თუ გამოცხადებულია აუქციონი პირობებით) ბიჯს (ყოველი კონკრეტული მიწის ბიჯის სიდიდეს განსაზღვრავს კომისია მთავრობის თანხმობით).

5. საწყისი ფასის გამოცხადების მომენტი, რომელიც ფიქსირდება დროის აღნიშვნით ითვლება აუქციონის ვაჭრობის დასაწყისად. ვაჭრობის მიმდინარეობის დროს დაუშვებელია მონაწილეთა დარბაზში გადაადგილება.

6. აუქციონის მონაწილე, რომელსაც სურს საწყისი ფასიდან დაიწყოთ ვაჭრობა სწევს თავის ნომრიან დაფას (რაც ნიშნავს საწყის ფასზე ბიჯის დამატებას) ისე, რომ თვალსაჩინო იყოს აუქციონისტი-სათვის. თუ ფასის სამჯერ გამოცხადებამდე დასახელებდა მომდევნო ფასი, აუქციონისტი აფიქსირებს მას და სთხოვს აუქციონის მონაწილეს გააგრძელოს ვაჭრობა, სანამ რომელიმე არ დაასახელებს ყველაზე მაღალ ფასს. ფასის სამჯერ გამოცხადების შემდეგ მიწის ნაკვეთი ითვლება განკარგულად აუქციონის იმ მონაწილეზე, ვინც აუქციონისტს ყველაზე მაღალი ფასი შესთავაზა.

7. აუქციონის გამარჯვებულად ითვლება ის მონაწილე, რომელიც კომისიას შესთავაზებს ყველაზე მაღალ ფასს (პირობებით გამოცხადებული აუქციონის შემთხვევაში, აკმაყოფილებს დადგენილ პირობებს). აუქციონის დამთავრების შემდეგ დგება ოქმი, რომელშიც უნდა აისახოს სააუქციონო ვაჭრობის მსვლელობა და შედეგები. ოქმი ინომრება ქრონოლოგიურად. ოქმს ხელს აწერს აუქციონის გამარჯვებული, აუქციონისტი და კომისიის თავმჯდომარე.

